აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №1

15/03/2024 წელი **ქ. ბათუმი**
12^{00} საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **- პარმენ ჯალაღონია.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე;
ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;
ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;
ციალა შავაძე - უსკოს წევრი;
თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი;
მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;
ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ;

2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ.

1. განკარგულება
სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა, „სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ“ განკარგულების პროექტი. პარმენ ჯალაღონიას განცხადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტით უნდა შეიქმნას უსკოს ლოგოსთან დაკავშირებით სპეციალური საკონკურსო კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კონკურსში მონაწილეობის პირობები, კრიტერიუმები, შეფასების წესი, შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავება და არაუგვიანეს 2024 წლის 29 მარტისა უნდა წარუდგინოს უსკოს, რის შემდეგაც კომისიას შესთავაზა ერთობლივად შეერჩიათ სპეციალური საკონკურსო კომისიის წევრთა კანდიდატურები.

აზრი გამოთქვეს: კომისიამ ერთობლივად შეარჩიეს კომისიის წევრთა კანდიდატურები.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შ[5] ქვეპუნქტისა და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. შეიქმნას სპეციალური საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია), შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნოდარ მელაძე - კომისიის თავმჯდომარე (უსკოს თავმჯდომარის მოადგილე);

ბ) ტარიელ გოგიტიძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (უსკოს მდივანი);

გ) მაკა ლომაძე - კომისიის წევრი (უსკოს აპარატის ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;

დ) ნესტან ნაკაშიძე - კომისიის წევრი (უსკოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი);

ე) ამირან ჯინჭარაძე - კომისიის წევრი (საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი);

ვ) ფრიდონ ბათნიძე - კომისიის წევრი (უსკოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი).

2. საკონკურსო კომისიის უფლებამოსილების ვადა იწყება ამ განკარგულების გამოცემისთანავე და წყდება საბოლოო გადაწყვეტილების წარდგენიდან 3 თვეში.

3. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას წარუდგენს უსკოს კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების წარდგენის ვადის ამოწურვიდან ერთი თვის ვადაში.

4. უსკოს ლოგოს შერჩევის კონკურსის პროცესი გამჭვირვალეა.

5. საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს კონკურსის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და კონკურსის შედეგების პროაქტიულ გამოქვეყნებას ვებ-გვერდზე, ამასთან, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის მოთხოვნის შესაბამისად.

6. საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (შემდგომში უსკო) ლოგოსთან დაკავშირებით წარდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას წინასწარ ობიექტურად განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად

(კრიტერიუმებისა და შეფასების დოკუმენტაციის შემუშავებას ახორციელებს საკონკურსო კომისია).

7. კომისიის მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

8. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება

9. კომისია საქმიანობას წარმართავს სხდომების მეშვეობით.

10. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

11. კომისიის სხდომას უძღვება კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

12. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

13. კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ადგენს სამდივნო.

14. სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

15. კომისიის თავმჯდომარის/წევრის ან უსკოს თავმჯდომარის ინიციატივით კომისიის სხდომის მოწვევას უზრუნველყოფს სამდივნო.

16. უსკოს წევრი უფლებამოსილია დაესწროს კომისიის სხდომას და მიიღოს ინფორმაცია კომისიის საქმიანობის შესახებ.

17. კომისიის მიერ სხდომაზე საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა-შეფასება და გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება საკონკურსო დოკუმენტაციის წარმდგენი პირის/პირების დაუსწრებლად. კომისია უფლებამოსილია კონკურსანტისაგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია წარდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. კონკურსანტი ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი ინფორმაცია წარუდგინოს კომისიას სამდივნოს მეშვეობით.

18. საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასების მიზნით კომისიის წევრი კომისიის სხდომაზე წარსადგენად ავსებს საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასების ფურცელს (საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასების ფურცელს შეიმუშავებს საკონკურსო კომისია) შემდეგი წესის დაცვით:

ა) შეფასების ფურცლის პირველი კრიტერიუმის გასწვრივ გრაფაში აღინიშნება შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი პროექტი, უსკოს ლოგოს ესკიზი გამოცხადებული კონკურსის მიმართულებით/თემატიკით განსაზღვრულ მიზანს (დიახ/არა). უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, შეფასების ფურცლის დანარჩენი კრიტერიუმების გასწვრივ გრაფებში მიეთითება 0 ქულა. კომისიის ერთ-ერთი წევრის მიერ ასეთი შეფასების შემთხვევაში, კომისიის ხდომაზე კენჭი ეყრება აღნიშნული საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსიდან მოხსნის საკითხს. თუ კენჭისყრის შედეგად კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსიდან მოხსნაზე უარის თქმის შესახებ, კომისია ვალდებულია განიხილოს აღნიშნული საკონკურსო დოკუმენტაცია.

ბ) შეფასების ფურცლის პირველი კრიტერიუმის გასწვრივ გრაფაში დადებითი შეფასების შემთხვევაში კომისიის წევრი ვალდებულია დანარჩენი კრიტერიუმების გასწვრივ მიუთითოს მის მიერ მინიჭებული ქულა განსაზღვრული შკალის შესაბამისად. კომისიის წევრიუფლებამოსილია გააკეთოს შესაბამისი კომენტარი (განმარტება) მინიჭებული ქულის გასწვრივ შეფასების ფურცლის შესაბამის გრაფაში.

გ) შეფასების ფურცლის შევსებისას კომისიის წევრი ვალდებულია შეფასების ფურცლის შესაბამის გრაფაში მიუთითოს ქულების ჯამური რაოდენობა, კომენტარი პროექტის შესახებ, საკუთარი სახელი, გვარი და მოაწეროს ხელი.

დ) სამდივნო კომისიის წევრების მიერ წარდგენილი შეფასების ფურცლების საფუძველზე ითვლის თითოეული კონკურსანტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიერ მიღებულ საშუალო შეფასებას. თუ კომისიის წევრის მიერ წარდგენილი შეფასების ფურცელი არ არის შევსებული დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სამდივნო უბრუნებს კომისიის წევრს შეფასების ფურცელს გამოვლენილი ხარვეზის შესავსებად. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრის მიერ არ მოხდება გამოვლენილი ხარვეზის შევსება გონივრულ ვადაში, სამდივნო საკონკურსო დოკუმენტაციის მიერ მიღებული საშუალო შეფასების დათვლისას არ გაითვალისწინებს კომისიის ამ წევრის მიერ შევსებულ შეფასების ფურცლებს საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. საკონკურსო დოკუმენტაციის მიერ მიღებული საშუალო შეფასების დათვლისას სამდივნოს მიერ ასევე არ გაითვალისწინებს კომისიის იმ წევრის შეფასების ფურცლები,რომელიც არ ესწრება კომისიის მიმდინარე სხდომას.

ე) თუ კომისიის წევრების მიერ წარდგენილი შეფასების ფურცლების საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაციის საშუალო შეფასება მინიმალურ ქულაზე ნაკლებია, კომისია იღებს გადაწყვეტილებას საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

19. საკონკურსო კომისია ამ განკარგულების მიღებიდან არაუგვიანეს 2024 წლის 29 მარტისა უზრუნველყოფს: კონკურსში მონაწილეობის პირობების, კრიტერიუმების, შეფასების წესის, შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავებას და უსკოსათვის წარდგენას.

20. საკონკურსო კომისიის სამდივნოს უფლება მოვალეობებს ასრულებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

21. სამდივნო ახორციელებს საკონკურსო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. ასევე უზრუნველყოფს საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონული საშუალებებით მიღებას, მათი სრულყოფილად წარდგენის საკითხის შემოწმებას, დოკუმენტაციის/ინფორმაციის კომისიისათვის წარდგენას, კომისიის სხდომის მოწვევას, სხდომის ოქმის შედგენასა და ამ განკარგულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

22. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

23. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**